ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

ᲢᲘ Ვ. ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1901 ᲙᲕᲘᲠᲐ, 20 ᲛᲐᲘᲡᲘ № 1470

ᲤᲐᲡᲘ ᲓᲐᲠᲡ: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ.—ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ 1-Ლ ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ: „ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲘ-ᲞᲣᲠᲪᲔᲚᲘ“—„ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 372.

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 20 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲥᲕᲐᲛᲕᲔᲗᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ

ᲔᲒᲜᲐᲢᲔ ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐᲡ (ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ)

ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲦᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ. (2—2)

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐ

ᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲛᲝᲬᲕᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐ ᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ,

ᲓᲘᲦᲘᲗ:

Ა. ᲯᲘᲯᲘᲜᲘᲫᲔ — ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ 8 — ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

ᲑᲘᲚᲘ Ს. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲑᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲗ — 9—10 Ს.

Ს. ᲛᲣᲚᲔᲑᲘ — ᲣᲠᲘᲡᲐ, ᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘ — 11—12 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

Ვ. ᲮᲐᲠᲯᲨᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ — 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

Ზ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲠᲘ — ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲡ 11—12 Ს.

ᲗᲐᲛᲘ ᲥᲐᲚᲘ Ⲙ. Ⲥ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ-ᲑᲐᲒᲨᲔᲑᲘᲡᲐ 11—12 Ს.

Თ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲜᲔᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐ— 12—1 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

Ი. ᲤᲔᲮᲓᲠᲮᲝᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲒᲨᲕᲝ ᲓᲦᲔ Ს.

Კ. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲩᲘ — ᲡᲐᲓᲦᲡᲢᲐᲥᲠᲝ — $12^1/_2$ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ 3—4 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

Ლ. ᲑᲔᲒᲗᲐᲞᲔᲒᲝᲕᲘ — ᲡᲘᲗᲘᲓᲘᲡᲘᲡᲐ, ᲙᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲔᲡᲘ — $1^1/_2$—2 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲗᲝ:

Ⲛ. ᲗᲣᲛᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ — 6 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲛᲓᲔ.

Ⲟ. ᲑᲔᲚᲮᲝᲚᲮᲝᲚᲮᲝᲕᲘ. — ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘ (ᲡᲢᲝᲛᲐᲥᲘᲡ ᲣᲮᲝᲤᲝᲑᲐᲜᲘ) ᲓᲐ ᲛᲘᲙᲠᲝ-ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ — 5—6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

Ⲡ. ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲙᲕᲘᲠᲐᲮᲝᲑᲘᲗ — 10—12 Ს. ᲛᲣᲠᲜᲐᲚᲮᲝᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲣᲤᲚᲘ ᲮᲝᲗᲮᲔᲑᲘ.

ᲡᲘ ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ 50 Კ.; ᲮᲔᲕᲔᲑᲘ — ᲛᲮᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ. ᲙᲠᲐᲮᲢᲘ 4 ᲛᲐᲜ. ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔ. ᲔᲠᲗᲘ ᲙᲠᲐᲮᲢᲘ ᲓᲐᲠᲘᲑᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲙᲣᲯᲘᲐ, ᲮᲘᲝᲚᲝᲚᲮᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲮᲚᲘ ᲛᲐᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡ, № 21 (ᲕᲐᲠᲜᲪᲮᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ). ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274. (ᲬᲚ.)

ᲡᲐᲛᲗᲝ ᲘᲔᲕᲔᲜᲔᲠᲘᲡ Ⲁ. Ⲇ. ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞ. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ. ᲞᲐᲘᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ, ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ, ᲮᲐᲠᲐᲖᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ. (1—1)

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲘ:

ᲙᲐᲑᲔᲑᲡ, ᲬᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲐᲛᲔᲑᲡ, ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲖᲔᲓ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ (ᲛᲔᲢᲙᲔᲑᲡ).

ᲑᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 12 (10—2)

ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲧᲝᲠᲦᲚᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 16.

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲦᲘᲗ 12—1 Ს., ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 6—7 Ს. (10—6—7)

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ. 20 ᲛᲐᲘᲡᲡ, „ᲛᲣᲨᲢᲐᲘᲓᲘᲡ“ ᲑᲐᲦᲨᲘ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲘᲐᲤᲘ (ᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡ) ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲡᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲗ, ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘᲗ (ᲪᲮᲔᲜᲘ, ᲫᲠᲝᲮᲐ, ᲕᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ). ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ ᲓᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ. ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲦᲘᲠᲘᲡ 20 Კ. (Უ. 2—3)

ᲔᲒᲜᲐᲢᲔ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐᲓ.

ᲐᲛ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ ᲔᲒᲜᲐᲢᲔ ᲘᲜᲒᲝᲠᲝᲧᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲡᲔᲕᲓᲝᲜᲘᲛᲘᲗ. ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲗ ᲒᲐᲜᲣᲖᲠᲐᲮᲐᲕᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲝᲜ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲔᲒᲔᲑᲔᲑᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲐᲕᲡᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲡᲪᲔᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲡ.

ᲔᲡ ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘᲡ ᲔᲒᲜᲐᲢᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲘ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲤᲔᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲝᲪᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲫᲕᲔᲚ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲚᲣᲠ-ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲗᲛᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ „ᲑᲐᲢᲝᲜᲖᲔ“, ᲘᲡᲔ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ „ᲧᲛᲐᲖᲔᲓᲐᲪ“. ᲔᲠᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲣᲪᲕᲚᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲤᲔᲠᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ. ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝᲤᲐ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ: ᲔᲠᲗᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔᲓ ᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲐᲠᲘᲑᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲣᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚ ᲬᲧᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲤᲔᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲝᲪᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲫᲕᲔᲚ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲚᲣᲠ-ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲗᲛᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ „ᲑᲐᲢᲝᲜᲖᲔ“, ᲘᲡᲔ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ „ᲧᲛᲐᲖᲔᲓᲐᲪ“. ᲔᲠᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲣᲪᲕᲚᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲤᲔᲠᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ. ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝᲤᲐ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ: ᲔᲠᲗᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔᲓ ᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲐᲠᲘᲑᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲣᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚ ᲬᲧᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲤᲔᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲝᲪᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲫᲕᲔᲚ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲐᲚᲣᲠ-ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ ᲨᲔᲘᲠᲧᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲗᲛᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲐᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ „ᲑᲐᲢᲝᲜᲖᲔ“, ᲘᲡᲔ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ „ᲧᲛᲐᲖᲔᲓᲐᲪ“. ᲔᲠᲗᲘᲪ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲪ ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐ ᲣᲪᲕᲚᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲤᲔᲠᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ ᲛᲐᲗ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲡ. ᲘᲒᲘ ᲘᲧᲝᲤᲐ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ: ᲔᲠᲗᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔᲓ ᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲬᲐ ᲓᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲦᲐᲠᲘᲑᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲣᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚ ᲬᲧᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲓᲐᲕᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ „ᲧᲛᲐ“-ᲙᲘ ᲒᲐᲓᲘᲥᲪᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲓ. ᲒᲐᲚᲐᲢᲐᲙᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲐᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ. ᲛᲐᲜ ᲒᲐᲘᲒᲝ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲣᲚᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲙᲕᲔᲕᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲔᲡ ᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲖᲔ. ᲛᲐᲜ ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲣᲠᲐᲗᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ“—ᲔᲡ ᲜᲐᲗᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲦᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲮᲐᲚᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ; ᲛᲐᲜ ᲓᲐᲒᲕᲘᲮᲐᲢᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 მაისი.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო მოხსენება ბაკეგემისა გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ, რომელშიაც, გამოხატულია რა უმთავრესი აზრი გოლუხოვსკის სიტყვისა და მის გამო გამოწვეულის ბაასისა ამ საგნის შესახებ,—გამოთქმულია სიამოვნება მინისტრის დამამშვიდებელი დარწმუნების გამო შესახებ გერმანიის მომავალი კავშირის არსებობისა. შემდეგ მოხსენებაში არის ნათქვამი, რომ რუსეთთან შეთანხმება მოულოდნელ შემთხვევათა გამო ძირიანად მოსპობს საშიშარ მოვლენათა და ყოველ მოულოდნელ შემთხვევას გააქარწყლებს. მოხსენება ყურადღებას აქცევს ამ შეთანხმების სიდიადეს, რომლითაც აგიტაცია ითრგუნება. სიამოვნებით უყურებს მოხსენება მინისტრისაგან განცხადებულ ცნობათა, რომ რუსეთთან სანდო თანხმობა არსებობს. მოხსენება თავდება წინადადებით, რომ მინისტრს გამოეცხადოს სრული ნდობა და უღრმესი მადლობა გარეშე პოლიტიკის ღირსეულად და სასარგებლოდ წაყვანის გამო.

ბერლინი. ბერლინის გარნიზონის დღევანდელი პარადის გათავების შემდეგ, წინაშე იმპერატორისა, თანადასწრებით დედოფლის ვილჰელმინასი, პრინცის ჰენრიხ ნიდერლანდელისა, დიდის ჰერცოგის მეკლენბურგისა პარიზის მოედანზედ—ქალაქ ბერლინის სახელით ობერ-ბურგომისტრი მიესალმა დედოფალ ვილჰელმინას, რომელიც ეტლით მობრძანდა იმპერატრიცასთან ერთად. ობერ-ბურგომისტრი ელოდა მათ დიდებულებათ მაგისტრატის დეპუტაციებით, ქალაქის წარმომადგენლებით და 34 გასათხოვარი ქალით. ობერ-ბურგომისტრმა მიჰმართა დედოფალს სიტყვით; ამავე დროს ერთმა ახალგაზდა ქალმა მიართვა დედოფალს თაიგული, რომელიც შეკრული იყო ნიდერლანდის დროშის ფერის ყვავილებისაგან. დედოფალმა მადლობა გადაუხადა და განაგრძო გზა იმპერატრიცასთან ერთად სასასახლისკენ; ხალხში აღტაცებული ჟივილ-ხივილი იდგა. პარადის შემდეგ იმპერატორი წაბრძანდა სასახლეში მაირაღლებით; მარჯვნივ იმპერატორს მისდევდა პრინცი ჰენრიხ ნიდერლანდელი, მარცხნივ დიდი ჰერცოგი მეკლენბურგისა.

შანჰაი. ერთი შეძლებული კომერციული აგენტი სიანფუში იუწყება, რომ იმპერატრიცას ერთმა მახლობელმა პირმა და სახელმწიფო რჩევის ორმა წევრმა ლინაიაინმა და იუნლუმ, რომელნიც ეხლა სახელმწიფო საქმეთა მეთაურნი არიან, დაადგინეს, ჩინეთი დაამყაროონ სასტიკ საფუძველზე ჩინეთისა; იმათ მოახერხეს იმპერატორის ბრძანების გამოცემა, რომლითაც უქმდება ყველა განკარგულებანი ექვსი სამინისტროსი, რომელიც გამოცემული იყო ამავე განზრახვით, და ავალებს სამინისტროებს დაუბრუნდნენ უბრალო წესებს, რომლებიც უწინდელი გვარეულობის დროს არსებობდნენ. იგივე აგენტი იუწყება, რომ იმპერატორის სასახლე იმის მაგივრად, რომ დაუყოვნებლივ პეკინში დაბრუნდეს, აპირებს ჯერ ხონანში გაემგზავროს, მხოლოდ ხაიფენს იქით კი არა.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტორიიდან: „გუშინ გენერალ დიქსონის რაზმს თავს დაესხა დელარეის ჯარები ფლანკფონტეინთან. შემდეგ ცხარე ბრძოლისა მტერი უკუქცეულ იქმნა დიდის ზარალით: იმან დასტოვა 35 მოკლული. სამწუხაროდ ჩვენი დანაკარგიც დიდია: დაჭრილი და მოკლულია 174 კაცი; მათში ოთხი აფიცერია მოკლული.

სტოკჰოლმი. კონტ-ადმირალი პალანდერი დაინიშნა საზღვაო მინისტრად.

ბერლინი. გერმანიის ჯავშნიანი გემების ესკადრა, რომელიც დღეს სტოვებს ვუზუანს, პირველ აგვისტოს მოვა ვილჰელმსგაფენში.

ვაშინგტონი. ხუთშაბათს მოსული დეპეშა პეკინიდან იუწყება, რომ ჩინეთი ითხოვს—საზღაურის გადახდა მოხდეს არა ოც-და ათი წლის განმავლობაში, არამედ ორმოცი წლისა.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. «პარი ნუველ»-ის კორესპონდენტის სიტყვით, წარსულ კვირას დონდონში კრება მოუხდენიათ ომის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ორატორები, რომლებიც «დემოკრატიო-სოციალისტების ფედერაციას» ეკუთვნოდნენ, მკაცრად ჰკიცხავდნენ მთავრობას, რომელიც მხოლოდ სიგიჟესა და გულქვაობას იჩენს მით, რომ სამხრეთ-აფრიკის ომს განაგრძობსო. დასასრულ კრებამ დაადგინა კითხოვოს მთავრობას, რომ ბურებთან ომი მოსპოს.

✿ გაზეთები იუწყებიან: ადფრედ მილნერის მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ მის პატივსაცემად საჯარო მნიშვნელოვანი ადგილი მოახდინონ. მეფემ და მთავრობამ მეტად დიდებულად მიიღეს მილნერი და საკმაოდ დაამტკიცეს, რომ მისი პოლიტიკა მოსწონთ უმაღლეს წრეებსა. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნადიმის გამართვას აპირობენ იმ დროს, როცა მილნერი სამხრეთ-აფრიკაში წასვლას დაუპირებს. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მილნერის პატივსაცემად ახალშენების მინისტრმა ჩამბერლენმაც გამართა ნადიმი. ზოგიერთმა დიბერადმა დეპუტატმა უარი თქვა და არ დასწრო ამ ნადიმს.

საფრანგეთი. სამხედრო მინისტრმა პალატაში წარადგინა კანონ-პროექტი სამხედრო სასამართლოების რეფორმის შესახებ. ამ რეფორმის საჭიროება დრეიფუსის საქმემ დაამტკიცა მინისტრის პროექტში ერთად მოქცეულია ყველა ის ცვლილებანი, რომლებსაც პალატისა და სენატის პროგრესიული პარტიები თხოულობდნენ.

თავდაპირველად ეს პროექტი თხოულობს, რომ ყველა ის დანაშაული, რომლებსაც სამხედრო პირები მშვიდობიანობის დროს სამსახურის გარეშეთ ჩაიდენენ, ადარ ექვემდებარებოდნენ სამხედრო სასამართლოებს. შემდეგ, ბრალდებულ სამხედრო პირებს ნება ეძლევათ თავიანთ საქმის გამოძიების დროს დამცველები დაისწრონ. ამას გარდა კანონ პროექტი ვადას სდებს გამოძიების მოსასდენად. სამხედრო პირების დანაშაულის გასასამართლებლად დაწესდება მუდმივი კოლეგია გამოცდილი იურისტებისა და იმ ოფიცრებისაგან, რომლებსაც სამხედრო იურადიული განათლება მიუღიათ. ეს კოლეგია სრულიად არ ემორჩილება ჯარის მთავარ სარდალს.

პოლიტიკურ წრეებს ძალნ მოსწონთ ანდრეს პროექტი. მემარცხენეთა პარტიას ჰსურს, რომ ეს კანონი 1902 წლის არჩევნებამდე დამტკიცდეს. ჯერ-ჯერობით კანონ-პროექტი ჯარის საქმეების გამსინჯველ კომისიას გადაეცა განსახილველად.

✿ გაზეთები იუწყებიან, რომ გრაფ დიურსალიუსის საქმის გადასაწყვეტად მთავრობა სენატის მოქმედების გათავების შემდეგ შეჰკრებს უმაღლეს სასამართლოსა, რათა სენატმა შესძლოს დაუბრკოლებლივ განიხილოს კანონი ასოციაციების შესახებ.

გერმანია. «პარი ნუველ»-ი იუწყება, რომ «ფრანკფურტერ ცაიტუნგ»-ის უმთავრესი რედაქტორი სამართალში იყო მიცემული ამერარის დიდებულების შეურაცოფისთვის, რასაც მან მკაცრად გაჰკიცხა ვილჰელმ II ბიოგრაფია. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაქტორი.

გერმანიის სასუფევლოთა კავშირის სახალხო წესები შეიმუშავა, რათა ამას იქითა ლური სასწავლებლების საწესეებს კანონგამნაზიების მოწესეებივით შეეძლოთ სამნალო ფაკულტეტზე შესვლა. «კრეუც-ცეიტუნგ» ირწმუნება, რომ რეალისტებს იურიდიულ კულტეტზე შესვლის ნებაც ექნებათო; ეს აგრეთვე ნება გამოცდის შემდეგ სამოსამართლეუწყების სამსახურშიაც შეეიდნენო.

✿ გაზ. «გერმანია» იუწყება: იმპერატორ ვილჰელმს ჯავრი მოუვიდა იმის გამო, მისგან ნათქვამ სიტყვებს რეპორტიორები ხინჯებდენ და ბრძანება გასცა, რომ ამას რეპორტიორები ადარ დაესწრონ იმ დღეებს, სადაც იმპერატორს სიტყვის წარმოთქმა მოუხდებაო. მისი სიტყვების ოფიციალური ნაარსს თვით იმპერატორის სასახლე შეტ ბინებს გაზეთებსაო.

ავსტრ-უნგრეთი. პარლამენტმა მიიღო მთავრობის პროექტი იმის შესახებ, რომ ნახშირის მადნებში 9 საათის სამუშაო დაწესდეს ამას იქითაო სოციალისტებმა პროტი წარადგინეს, რომ რვა საათის სამუშაო დაწესდეს, „ოდო პარლამენტის სოციალ პოლიტიკურმა კომისიამ მოსთხოვა, რომ საათის სამუშაო დდე თანდათან სამი წლის მავლობაში შემოვიდოთო, მაგრამ ეს ო წინადადება პარლამენტმა უარყოფ.

✿ პოლონელების კლუბში, დელეგატ სხდომების დროს, მეტად საინტერესო კ მოხდა «საშთა კავშირის» შესახებ. ამ ბის დემოკრატიულმა ნაწილმა ის კამოსთქვა, რომ რადგანაც პრუსიაში დონელებს სდევნიანო, ამიტომ პოლონ კლუბი გულ-გრილად უნდა უცქერდეს ამ შირსაო. ერთმა ორატორმა შეგნიშნა: გრაფ დუხოვსკი ტუვილად გვთხოვდა ჩვენა, საშთა კავშირს ნუ ამცირებთ საზოგადო თვალშიო; ამისთანა დარიგებით იმას პრუ საათვის უნდა მიემართნა. პრუსიას არ უნდა წედებოდეს, რომ კაცირების დროს რამდ ასი ათასი პოლონელი ჯარის კაცი პრუსიაე და ავსტრიიდან ერთად ხელი ხელს ჩართ უნდა წავიდნენ საბრძოლველად. თუ პრუსია შესცვლის თავის პოლიტიკას პოლონელებ დმი, უნდა იცოდეს, რომ პოლონელების

„შენიშვნები ბათუმის შესახებ“.

დასამატებლად იმ ცნობებისა „ცნობის ფურცლის“ 1459-№-ში რომ იყო მოყვანილი ბათუმის პორტში საქონელთა მოძრაობის შესახებ, ვგონებ უადგილო არ იქმნეს, თუ საჭიროც არა, მოყვანილ იქმნას ამგვარივე ცნობები ფოთის ნავთსადგურისაც; ასეთი დამატება მით უფრო საჭირო უნდა იქნას, რომ მკითხველი შეიძლებს უფრო საკუსებით გათვალისწინებას ჩვენი გამზიდავი ვაჭრობის სურათისას, მასში ჩაკვირვებას და ამასთანავე საჭიროება იმისგანაც წარმოდგება, რომ ფოთის ნავთსადგური მიჩნეულია ბათუმის რეზერვათ*), სათადარიგო პორტათ ბათუმისათვის ამიერ-კავკასიის გამზიდავ ვაჭრობაში აღიარებულია.. აუცილებელ საჭირო პორტად იმ საქონელთათვის, რომელთ უადგილობის გამო არ შეუძლია ბათუმის ნავთსადგურიდან სამზღვარ გარეთ გასვლა.

სწორეთ ამის გამო სუბ-კომისიამ ის აზრიც გამოსთქვა, რომ ბათუმის ნავთსადგურის განკარგებაზე ზრუნვა წინ უნდა იყვეს წაყენებულიო ფოთის ნავთსადგურის გაუმჯობესობის ზრუნვასთანა.

რა გვარია ფოთის ნავთსადგურში საქონელთა მოძრაობა, რა საქონელი მოძრაობს ამ ბათუმის „სათადარიგო პორტში“—ამოვწერ სუბ-კომისიის ანგარიშში მოყვანილ ამის შესახებ ცხრილებს, რომელიც შედგენილია სადამოუნო გარდასახადის დეპარტამენტისაგან მიღებულ ცნობებიდგან.

*) ეს აზრი გამოთქმულია იმ ანგარიშში, რომელიც წარუდგინა ბათუმში ნავთის ქალაქის დასაარსებლად უმაღლესად დაწესებულ კომისიას სუბ-კომისიის თავჯდომარემ ნ. პ. ზაბუგინმა.—გვ. 203.

I. ცხრილი ფოთის ნავთსადგურში შემოტანილ საქონლისა.

სახელწოდება საქონლისა.	1894 წელს.		1895 წელს.		1896 წელს.		1897 წელს.		1798 წელს.	
	რუსეთიდან.	სამზღვარ-გარეთიდან.	რუსეთიდან.	სამზღვარ-გარეთიდან.	რუსეთიდან.	სამზღვარ-გარეთიდან.	რუსეთიდან.	სამზღვარ-გარეთიდან.	რუსეთიდან.	სამზღვარ-გარეთ
სიმინდი . . . ფუთ.	1.404.000	—	1.317.000	—	165.000	—	727.000	—	1.087.000	—
დანარჩენი სხვა ჭირნახული	3.745.000	—	2.123.000	—	1.373.000	—	1.403.000	—	2.098.000	—
სანოვაგე	466.000	1.000	698.000	—	467.000	1.000	726.000	1.000	572.000	1.0
ტყის მასალა	64.000	—	205.000	—	168.000	—	269.000	—	324.000	—
ქვიანი მასალა. . . .	367.000	—	383.000	34.000	845.000	—	876.000	—	466.000	41,0
შავი-ქვა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
დანარჩენი ლითონები და მინერალი	560.000	—	719.000	—	2.095.000	—	1.959.000	—	3.067.000	—
ნავთისაგან ნაწარმოები .	5.000	—	8.000	—	6.000	—	1.000	—	5.000	—
სხვა-და-სხვა საქონელი .	2.069.000	—	1.388.000	—	2.310.000	—	2.754.000	—	3.191.000	—

II. ცხრილი ფოთის ნავთსადგურიდან გატანილი საქონლისა.

სახელწოდება საქონლისა.	1894 წელს.		1895 წელს.		1896 წელს.		1897 წელს.		1898 წელს.	
	რუსეთში.	სამზღვარ-გარეთ.	რუსეთში.	სამზღვარ-გარეთ.	რუსეთში.	სამზღვარ-გარეთ.	რუსეთში.	სამზღვარ-გარეთ.	რუსეთში.	სამზღ გარეთ
სიმინდი . . . ფუთი.	42.000	3.931.000	29.000	4.039.000	14.000	287.000	36.000	1.541.000	14.000	2.296.
დანარჩენი სხვა ჭინახული	774.000	1.000	429.000	1.000	555.000	—	1.332.000	—	1.355.000	—
სანოვაგე	17·000	—	9.000	—	15.000	—	15.000	—	23.000	—
ტყის მასალა	240.000	43.000	277.000	12.000	258.000	38.000	269.000	40.000	218.000	8.
ქვის მასალა	44·000	—	56.000	—	65.000	—	83.000	—	83.000	—
შავი ქვა	?	8.528.000	?	9.739.000	?	8.542.000	?	10.657.000	1.902.000	13.892
დანარჩენი ლითონები და მინერალი.	17.000	—	77.000	—	19.000	—	45.000	—	48.000	—
ნავთისაგან ნაწარმოები .	1.000	—	1.000	—	—	—	4.000	—	1.000	—
სხვა და სხვა საქონელი .	1.951·000	38.000	1.154.000	56.000	1.889.000	—	2.904.000	—	1.949.000	1.

საერთო საქონლის მოძრაობა ფოთის ნავთსადგურში ათი წლის განმავლობაში არცერთ წელიწადს არ აღმატებია 21-22 მილ. ფუთ.

ბ'

ასაძგერად მარტო იმ ერთგულნი ჭანგების საკმარისი ადარ იქნება, რომლებითაც წელს ხოდონელთ რაზმები მოხიბლეს ბრძოლველად გაიეკვნეს. მეორე ორატორმა შნა, რომ ბრუსაასთან კავშირი უკვე გადათ დაკმობილია ხოდონელთა საზოგადოგან, რომელიც უფრო და უფრო თანაგრთ უფლერის სხვა ლდვიანთა ერებისა. ურვატორი დეპუტატებიც გულ-გრილად ურიან სომთა კავშირს, მაგრამ ისინი ამბობ- რომ ხოდიტიკაში არ შეიძლება მარტო ობით ვიხელმძღვანელოთ. დეპუტატმა მა მოითხოვა, რომ ხოდონელთა კლუბს ერთ წინააღმდეგობა გაეწია სომთა კავში- თვის, მაგრამ კლუბმა უმადლესი ხოდიტი- მესაფერა მოსაზრებით უარ-ყო მისი წი- ება

ესპანია. მთელი ქვეყანა დიდ მოძრაობაში არჩევნების გამო. ცნობილი მოდვაწე ბი, და მარგალი უკვდა რესპუბლიკელებს ურ- ნენ, რომ თანხმობით ემოქმედნათ. რესპუბ- ების ხროგრამმა შემდები იყო: «მონარქი- სკიერ დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა დაწესებული, ეკლესია უნდა განცალკევ- სახელმწიფოსაგან, განათლება საერო უნდა ბერების საზოგადოებანი განიდევნებიან ნიადან და მათი ქონება სახელმწიფოს უნდა ეს, უკვდა სჯულს თავისუფლად უნდა შეე- თავისი წესების შესრულება, ბრეგინციებს ნისტრაციული და ეკონომიური ავტო- ა უნდა მიენიჭოთ;.

ოლტუგალია. ხალხს მეტად არ მოსწონს ობის ქცევა, რადგანაც მთავრობა ვერა ავს, რომ კანონი ბერების განდევნის შესა- სებით შესრულდეს. ეს უკმაყოფილება ულ წამს იჩენს ხოლმე თავსა. სანტარემში, ოთად, ერთი ბერი თავისი ჩვეულებრივი ისამოსით გავიდა ქუჩაში; ხალხმა მაშინვე ალი კარტოფილისა და ვაშლების სროდა ეთ; ბერმა რეკოლვერი ამოიღო, რომ ეს ხალხისთვის; მაშინ ხალხმა ქვები დაუ- და ბერი მხოლოდ პოლიციის წყალობით ა ცოცხალი; ის ეტლში ჩასვეს და ისე ანეს. ხალხმა ეტლსაც შუშები დაუფეა.

ამხრეთ-აფრიკა. ერთი გერძანელი კო- ისტი მენხენი, რომელიც მონაწილეობას ბდა ბურების ომში, თვით ბოტას რაზმში, ა დაბრუნებულა და სოფარ ამბებს დაპარა- ს ბოტას შესახებ. მენხენის სიტყვით, ბო- დიდი სამხედრო ნიჭი აქვს; ის მეტად ჯელ იქცეოდა, რომ მას გენერალი ბულ- ებრძოლა. მაგრამ უველაზე საკურადღებო დეგი: მენხენი გადაწყვეტით ამტკიცებს, ბოტა ბოდოს და ბოდოს არა თუ მხო- უზარადოდ და უკნებლად გასხლტა იმ ნის რგოლიდან, რომელიც მას შემოაკვლეს, რა, თითონ ბულერიც მთელი თავისი შტაბით ეკვეკა; მერე პატიოსანი სიტყვა ჩამოარ- რომ დაუყოვნებლივ სამხრეთ აფრიკიდან ლოდა და გაუშვა. შემდეგში გაიგე, —ამ- ს მენხენი,—რომ ინგლისელები ეოველნაი- ურეოფლნენ ამ ამბავს და ბევრს სულაც სჯეროდა, თუ ეს მართალი იყო. ნამდვი- კი არავითარი ეჭვი არაა, რომ ბულერი ედა ჩვენსათ ბურებს, რადგანაც ამის მოწ- ასობით არიანო.

ახალი ამბავი

— პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობ- ებენ, რომ გუშინ მოხდა პირველი ომა საერო განათლების სამინისტროს ისიისასაშვალო სკოლის რეფორმის შე- ებ. კომისიამ დაადგინა-მეხუთე კლასამ- მოსპობილ იქმნას ძველი ენების სწავლე- მე-5 კლასიდგან სასწავლებელი იყოფა ორ ყოფილებად; პირველში ლათინური ენა ლდებულია; ფრანგული და გერმანუ- ენები აგრეთვე სავალდებულოა, ინგ- ური მხოლოდ მსურველთათვის; საატე- ო ეგზამენები კურსის დამთავრებისა ობილ იქმნება. მეორე განყოფილება- ასწავლიან, სხვათა შორის, საკანონო ნიერებას.

— დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკ- იაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი განსვენებულის ცნობილის მწერლის **ეგ. ნინოშვილის** (ინგოროყვა) სულის მოსახსენებლად.

— ქუთაისიდან გვატყობინებენ: „15 მაისს საღამოს მატარებელით ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი. ეს ორი დღეა, რაც ბ. ზავადსკი სავაჟო გიმნაზიაში ახდენს რევიზიას დ. ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორის მ. ვ. მოხირის თანა დახმარებით“.

— სამშაბათს, 22 მაისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში მოხდება **ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულების მოხრიგი კრება**, რომელზედაც განსახილველად დანიშნულნი არიან შემდეგი საქმეები: 1) ბანკის მოქმედების 1900 წლის ანგარიში და მასათანავე მოხსენება, 2) ბანკის რწმუნებულის თავ. ა. ზ. ჩოლაყაშვილის განცხადება ბანკის წესდების მე-32 §-ის შევსებისა და მე-35 §-ს გამორიცხვის შესახებ, 3) ბანკის ამა მიმდინარე 1901 წ. ხარჯთაღრიცხვა, 4) მოხსენება საზოგადოსასარგებლო თანხის განაწილების შესახებ, 5) მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ, 6) მოხსენება რწმუნებულთა კრების დადგენილების თანახმად ბანკის წესდების მე-103 §-ის შევსების შესახებ იმ რიგად, რომ ბანკს ნება მიეცეს სათადარიგო თანხა სარგებლის ქაღალდებში ჰქონდეს შენახული, რომელნიც მთავრობის მიერ არ არიან უზრუნველ ყოფილნი, 7) მოხსენება რწმუნებულთა კრების დადგენილების თანახმად, ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ფონდის შესადგენად საშუალების გამოძებნისა და კახეთში სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ, 8) არჩევნები გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძის ნაცვლად გამგეობის ერთის წევრისა და მისის კანდიდატისა და დამფასებელ კომისიის სამის წევრების თავ. გ. ს. ციციშვილისა, ფურცელაძისა და თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად და მათის კანდიდატებისა და სხვანი. კრება დილის 10 საათზედ დაიწყება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

— როგორც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის 1900 წლის მოქმედებიდგან **წმინდა მოგება** სულ 208,363 მან. 72 კ. დარჩენია. ამ თანხიდან, ბანკის წესდების თანახმად, ტფილისის გუბერნიის მიწად მფლობელთა და მიწის-მოქმედთა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უნდა გადადებულ იქმნას 73,813 მან. 6 კ., ხოლო სამეურნეო თანხის შესადგენად 21,089 მ. 45 კ. სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს გამგეობასთან ერთად აღნიშნულ თანხები გაუნაწილებია ამ ნაირად: საზოგადო საჭიროებათა თანხიდან 1000 მ. გადაუდვია ქართულ დრამატიულ საზოგადოების შემწეობად, ხოლო დანარჩენი 72.813 მ. 6 კ. ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს მიეცა, ისე რომ სკოლისათვის მოხმარებულ იქმნეს 63,710 მ. და სათავად-აზნაურო ახალ შენობისათვის 8103 მ. 6 კ.; სამეუნეო თანხიდან 5,000 მ. გადაუდვია წინამძღვარიანთ კარის სკოლისათვის, 1000 მ. კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის შემწეობად, ხოლო დანარჩენი 15,089 მ. 45 კ. სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტს სკოლის შენობისათვის, ისე რომ შემდეგ ეს ფული უკანვე დაუბრუნოს კომიტეტმა ბანკს სამეურნეო თანხის შესავსებლად.

— შუშიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ქალაქის თავად არჩეულ იქმნა ივანე ანდრიასძე ქალანთარი.

— კავკასიის სამოსწავლო ოლქის მმართველს ბ. **ზავადსკის** მოელიან ტფილისში ხვალ, 21 მაისს.

— კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფ ბ. **იანოვსკის** განზრახვა აქვს ამ დღეებში დაიაროს ტფილისის საშუალო სასწავლებლები.

— საერო განათლების სამინისტროს უკვე შეუმუშავებია უმთავრესი მუხლები **საშუალო სასწავლებლის რეფორმისა.** სანამ სამინისტრო ამ მუხლებს დაწვრილებით შეიმუშავებდეს, მათ განიხილავს განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სამოსწავლო ოლქის მზრუნველები, ზოგიერთ გიმნაზიების დირექტორები და რამდენიმე პროფესორი.

— ფინანსთა მინისტრი ცირკულიარით ატყობინებს **კომერციულ სასწავლებლების** სამზრუნველოებს და დირექტორებს, რომ მან საჭიროდ დაინახა წლევანდელ სამოსწავლო წლის ბოლოს მოახდინოს განსაკუთრებული თათბირი იმ კითხვების ასახსნელად და გამოსარკვევად, რომელნიც მხოლოდ კომერციულ სასწავლებლებს ეხებიან. ამიტომ მინისტრი სთხოვს სამზრუნველოებს მონაწილეობა მიიღონ ამ თათბირში და ამოირჩიონ ამ მიზნისათვის თითო წარმომადგენელი; დირექტორები კი, რომელნიც ყველაზე ახლო არიან სასწავლებლებთან და სხვაზე უკეთ უნდა იცნობდნენ მათ საჭიროებათ, თვით უნდა დაესწრნენ ამ თათბირს.

— გუშინ, 19 მაისს, ტფილისის **სათავად-აზნაურო სასწავლებელში** მოსწავლეები დაითხოვეს საზაფხულოდ.

— ტფილისის **პირველ საქალაო გიმნაზიაში** სწავლა და მოსწავლეების გამოცდა გათავდება 14 ივნისს.

— **ტფილისის მესამე გიმნაზიის** პედაგოგიურმა რჩევამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობასთან, რათა ნება მიეცეს ხსენებულ გიმნაზიას დადგას საქტო ზალაში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფის კ. პ. იანოვსკის სურათი.

— **ადმინისტრაციის ანგარიშიდან** სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში 1899 წლის განმავლობაში მომხდარა 11,477 ჯვარისწერა; დაბადებულა 33.190 სული ორივე სქესისა; ამათგან 32.937 კანონიერია და 253 უკანონო. მომკვდარა—25.159; ასე რომ გუბენიის მცხოვრებთ შეემატება 8031 სული.

— ქალაქის მესამე **სანიტარიო სესხის** ობლიგაციების კურსი ავიდა 94 მანეთამდე და განაღდება კი მოხდება 91 მ. 50 კაპ.

— ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს მცოდნე პირი მომავალ **გამოფენის სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების** გამგეთ, რომელიც მოვალე იქნება მიაწოდოს მსურველს საჭირო განმარტება და ცნობები.

— გუშინ წინ, 17 მაისს, შესდგა **სხდომა ნატახტარის წყაროების კომისიისა.** სხდომაზედ მოისმინეს ხსენებულ წყაროების წყლის ანალიზების შედეგი, რის შემდეგაც კომისიამ დაადგინა—მოახდინონ ახალი ქიმიური და ბაქტეროლოგიური ანალიზი ხსენებულ წყლისა, რისთვისაც ხვალ, 21 მაისს, კომისია გაემგზავრება ნატახტარისაკენ.

— ახალციხიდან გვწერენ: „აქაური სახალხო კითხვები შეჩერებულია სექტემბრამდის, რადგანაც მისი მოთავენი, ადგილობრივი სკოლების მასწავლებლები, ეხლა გამოცდის საქმეებში არიან გართულნი და ზაფხულშიაც აგარაკად წასვლას აპირებენ“.

— დღეს, საღამოს 7 საათიდან 11 მდე, **მთვარის დაბნელება** მოხდება.

— ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომაზე გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა წინადადება შემოიტანა, რათა, თანახმად გამგეობის 1900 წლის 29 დეკემბრის დადგენილებისა, გამგეობის ყველა განყოფილებებმა ამა წლის 1 ივნისისათვის წარმოადგინონ **შემოსავალ-გასავლის ხართადრიცხვა.** გამგეობამ დაადგინა დაევალოს გამგეობის ყველა წევრებს აღასრულონ აღნიშნული დადგენილება.

— წელს, როგორც აღნიშნული გვქონდა, კავკასიის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების საბჭოს მეთაურობით **გამართება მებაღეთა წარმომადგენლების სხდომები** ზოგიერთ საკითხების განსახილველად. ამ სხდომებზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ **წარმომადგენელად** დაინიშნა კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულტან-კრიმგირეი. ამასთანავე სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეატყობინა საბაღოსნო საზოგადოებას, რომ, რადგანაც გამოფენაზე შინაგან მრეწველთა სხდომების პროგრამაში შეტანილია კავკასიაში მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ ზოგიერთი საკითხები, ამიტომ საბაღოსნო კრებების პროგრამიდან გამორიცხულ იქმნეს ეს საგანიო.

— 18 მაისს ქალაქის გამგეობის სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ, განიხილა **რა ცხენის რკინის გზის მეოვალეურე კომისიის** დადგენილებანი, რომელთა შინაარსი უკვე ამას წინად გვქონდა მოყვანილი, დაამტკიცა ყველა, გარდა იმ დადგენილებისა, რომელიც შეეხება ტრამვაის ვაგონების ხალხით ავსების საქმეს. ამ გარემოების გამო გამგეობამ დაადგინა—მოსთხოვონ ბელგიის უსახელო საზოგადოებას ცნობები—ვაგონების საკმაო რიცხვს ამოძრავებს თუ არა?

— ამას წინად „ბანკის ბაღის“ მოიჯარადრემ გიორგი სხირტლაძემ სთხოვა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტს, რათა ნება დართონ **გამოფენაზე საჭმელ-სასმელების ბუფეთის** გამართვისა. კომიტეტმა წარსულ ოთხშაბათს, 16 მაისს, განიხილა რა ეს თხოვნა, შეიწყნარა იგი და გრადასწყვიტა შეეკრან სხირტლაძეს პირობით, რომლის ძალით კომიტეტის სასარგებლოდ სხირტლაძემ შემოსავლის რამდენიმე პროცენტი უნდა გადაიხადოს.

— გუშინ დილას ვერაზე ერთი **უბედურება** მოხდა. პოლიციის მოხელის კირკლიას შვილები შინჯავდნენ მამის რევოლვერს; ერთს მათგანს უეცრად გაუვარდა რევოლვერი და ტყვია მოხვდა 12 წლის ბავშვს, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა.

— ოთხის დღის წინათ საბურთალოში, ვერაზე, დაბანაკდნენ **ბოშები** და გაჩნდა გაცხარებული ქურდობაც. ადგილობრივი მცხოვრებნი იძულებულნი შეიქნენ მიემართათ პოლიციისათვის. ბ. კოვალიოვმა ბრძანება გასცა არ შემოუშვან ბოშები ქალაქში და ამასთანავე წინადადება მისცა ამათ ოთხის დღის განმავლობაში დაანებონ თავი საბურთალოს და სხვა ადგილას გადავიდნენ.

— **ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიას** დაბა საჩხერეში, (შორაპნის მაზრა), როგორც გვწერენ, განუხილავს საჩხერის ნაწილის, სოფელ ჭალის მცხოვრების, აზაკაცია აბაშიძის საქმე, რომელსაც ვოთომც წინასწარ განზრახვით კაცის მიკვლა ედებოდა ბრალად. სასამართლოს სესიას დამნაშავედ უცვნია აბაშიძე და გარდაუწყვეტია მისთვის ყოველივე პირადათ თუ მდგომარეობით მოპოებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და სამის წლის ვადით მადნებში სამუშაოდ გაგზავნა.

— რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი „ქადაგებათა კრებული“**, საიუბილეო გამოცემა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების ურთიერთშორის დამხმარებელ კასისა; წიგნი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული და ღირს მხოლოდ ექვსი შაური (შეიცავს 200 მეტ გვერდს).

— **კავკავიდან ტფილისში ჩამოვიდნენ** 17 მაისს სპარსეთში ინგლისის საელჩოს მდივანი ბ-ნ დე-გრეზი და ინგლისისავე სპარსეთის მისიის მდივანი ვილიამ ერეკინი.

— გუშინ-წინ საღამოს ავლაბრის ერთ-ერთ ქუჩაზედ იპოვნეს მიგდებული ბავშვი, რომელიც მაშინვე ინიტიტუში გაგზავნეს.

შეცდომის გასწორება. ჩვენის გაზეთს მე-1466 №-ში ახალციხედან გამოგზავნილ კორესპონდენციაში სწერია: "წელს საქალაქო სასწავლებელში სწავლას ათავებს 29 მოწაფე," უნდა იყოს „..სწავლას ათავებს 19 მოწაფე.“

პრეესა

როგორც ვიცით, უმაღლესი მთავრობა აპირებს შემოიღოს ზოგიერთი სამეურნეო დაწესებულება იმ გუბერნიებში, სადაც არ არის შემოღებული საერობო დაწესებულებანი. ამ ცვლილების პროექტიც უკვე შედგენილია. რუსულ ჟურნალ „პრავო“-ში დაბეჭდილია ამ პროექტის გამო წერილი პროფესორის კუზმინ-კარავაევისა. წერილი საყურადღებოა ჩვენთვისაც თვის შინაარსით და ამიტომ მოგვყავს იქიდან რამდენიმე ადგილი:

„ორმოცი წელიწადი არ გასულა ჯერ მას შემდეგ, რაც ერობა შემოიღეს რუსეთში. წინად მაზრებში არ იყო არც საავადმყოფო, არც სკოლები და ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ ყოფილა ჩრდილოეთსა და სამხრეთშიაც, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა, ცენტრსა და განაპირა ადგილებს-შუა, ეხლა-კი ზოგ გუბერნიებში რამდენიმე ათი საავადმყოფოა, რამდენიმე ასი სკოლა, სხვა და სხვა საწყობები-სამეურნეო, გამქირავებელი, საოჯახო მრეწველობისა,-შემოღებულია ქონების საურთიერთო დაზღვევა, უბედურების დროს (შიმშილობა ან მოუსავლობა) უფრო ენერგიულად და ნაყოფიერად მოქმედებენ. სხვა გუბერნიებში-კი (სადაც ერობა არ არსებობს) ყველა ზემოხსენებული თითქმის იმავე მდგომარეობაშია, როგორც ამ ორმოცის წლის წინად... ამ გუბერნიების სამწუხარო მდგომარეობას ყველა, განურჩეველად მიმართულებისა, ერთხმად ჰმოწმობს. ყველამ დაკარგა რწმენა საგუბერნიო ადმინისტრაციის მოქმედებისა ამ ასპარეზზე და ყველა საჭიროდ სთვლის შემოიღოს ამ გუბერნიებში ის დაწესებულება, რომელმაც რუსეთის სხვა ნაწილებში შეამცირა სიკვდილი, გაამრავლა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი და დაუდო საფუძველი ხალხის ეკონომიურ წარმატებას.

ყველაფერი, რითაც კი წინ წასულა საერობო დაწესებულებიანი გუბერნია, ერობის შექმნილია; ეს უეჭველი ფაქტია; მის წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს იტყვის; ამიტომაც არის რომ ყველა ერობას თხოულობს.

ახლად შედგენილი პროექტი კი, ავტორის აზრით, სრულებით არ შესცვლის საქმეთა მიმდინარეობას ერობას მოკლებულ გუბერნიებში, რადგან განზრახული ახალი დაწესებულებანი თითქმის სრულებით არ განსხვავდებიან იმ საგუბერნიო დაწესებულებათაგან, რომელნიც ეხლა არსებობენ და აქამდე არა გაუკეთებიათ-რა მნიშვნელოვანი და საგულისხმიერო.

* * *

ამერიკელი მდიდარი ანდდრიუ კარნეჯი, ამომავლობით შოტლანდიელი, სამშობლოში დაბრუნებულა და გადაუწყვეტია, როგორც გაზეთები იტყობინებიან,

სილარიბეში მოკვდეს. მან შესწირა შოტლანდიის უნივერსიტეტებს 3.000,000 გირვანქა სტერლინგი (30.000.000 მილიონი მანეთი) იმ პირობით, რომ არც ერთ შოტლანდიელ სტუდენტს, ღარიბი იგი თუ მდიდარი, სწავლის ფასი არ გადახდეს. ამას გარდა კარნეჯიმ გადასწყვიტა დააარსოს შოტლანდიის ქალაქებში სახალხო ბიბლიოთეკები ბიბლიოთეკის დაარსება დაიწყო ქ. გლაზგოდან, რომელსაც მან შესწირა 100.000 გირვანქა სტერლინგი (1 მილ. მანეთი)...

განა რომ ეს კარნეჯი ჩვენებურ მდიდარ და დიდ მემამულეებსა ჰგვანებია? ჩვენშიაც ხომ ყველა იმის მოცადინეა, სილარიბეში დალიოს სული (ნახე სახელმწიფო ბანკის მოქმედება ჩვენში)! მხოლოდ ერთი სულ მცირედი განსხვავებაა კარნეჯისა და ჩვენ „მებატონეთა“ სილარიბეში. კარნეჯი იხარჯება და სცდილობს გაღარიბდეს თავის ხალხის საკეთილდღეოდ, შეძენილ სიმდიდრეს თვის ხალხის გასანათლებლად და ასამაღლებლად ხმარობს. ჩვენები კი არა ნაკლების დაუზოგველობით თავის საკუთარ კუჭსა და სტომაქს ემსახურებიან ოღონდ თავის მიზანს მიაღწიონ და რას დაგიდევენ, თუ ქართული მიწა-წყალი ვის ხელში გადადის, თუ რა მოელის ქვეყანას მათის ასეთის „მოღვაწეობისაგან“.

პროვინცია

ქ. ბოზდოკი. 16 მაისს, საღამოს 6 საათზე, ხიდის ეურზე ისხდნენ ხუთიოდ კაცი და დაპარაკში იყვნენ გართულნი, ამ დროს ერთი კარგად მოართული ახალგაზრდა ქალი, დადგრემილის სახით მიეშურებოდა ხიდისაკენ, მაგრამ, როგორც კი ხალხი დაინახა, გზა აუქცია, გაეშურა თურგისაკენ, მიუახლოვდა თუ არა, არც აცივა არც აცხელა, გადიწერა ხირჯვარი, აიშვირა ხელები და გადაეშვა წყალში. იქ მჯდომი ხალხი წამოცვივდნენ, ერთმა მათგანმა გორაშვილმა(ქართველია)სიჩქაროდ კაიძრო ტანისამოსი და საშველად წყალში გადავარდა; ქალმა თურმე ბევრი იყვირა, ნუ მიშველით, სიცოცხლე არ მინდაო, მაგრამ, როგორც იყო გამოიტანეს მშრალზე. როდესაც ცოტა გონზე მოვიდა, გამოეკითხათ ვინაობა. ქალი გამოტყდა, რომ მარტინოვისა ვარო, დედას უნდა ეცემა ჩემთვის ჩვეულებრივ, ბევრჯელ თმით მათრია, ამის გამო გაბეზრებულმა ვარჩიე თავის დახრჩობაო. ამასობაში დედასაც შეატყობინეს და მოვიდა, ისიც მართლა გამოტყდა, დაგტუქსეო.

ამავე საღამოს, 8 საათზე, დატრიალდა მეორე უბედურება: ერთ ბოდონელს ჯარის კაცად ნამუოფს ბავშვე გარდნეცკის ნაწლავები გადმოურეკინა მეზობლის ხარმა. საქმე ასე ეოფილა: საღამოზე ჯოგიდან გარდნეცკის ძროხას შემოჰყოლია მეზობლის მოზვერი, გარდნეცკის მოენდომებინა მისი ეზოდან გაგდება, მაგრამ როდესაც მიახლოვებოდა და ჯოხი დაერტყა, მოზვერს ამოეკრა რქა მათცხენა ფერდში და შიგ მუცელში შერჭობოდა და ნაწლავები დაეშავებინა; უგონოდ დაცემულ გარდნეცკის ხუთი საათის მეტი არ ეცოცხლა.

მოზდოკშიაც ქურდობა და მტაცებლობა გახშირდა. ამას წინად მოზდოკელ მეფურნეს, რაჯის მაზრის მცხოვრებს გიორგი გობერიძეს, შუადღისას დახლიდან ამოაცალეს 300 მანეთი. ეს ფული იყო დამზადებული მისი ბიძაშვილისათვის, რომელიც მეორე დღეს ემზადებოდა შინ წასასვლელად. ეხლა კი დარჩა საბრალო თვალტრემლიანი ისევ მოზდოკში. იმავე დღეს ივანე ივანოვს თავის ახლად დაჭერილმა რუსმა მოჯამაგირემ მოსტაცა კარგი «ბრიჩკა» და ორი ცხენი—დირეებული 500 მანეთად საქმე ასე ეოფილა: ხსენებულ ივანენკოს მოჯამაგირე დაეჭირა ცხვარში მწყემსად და ბიდეთი ეთხოვა, მაგრამ იმას ეთქვა, ბიდეთი ტანისამოსში მაქვსო, როდესაც ადგილზე მივალთ მაშინ მოგცემო. ისიც დათანხმებოდა; თვითონ ბურის საეიდად წასულიეო და მოჯამაგირესთვის ეთქვა, ცხენებს უპატრონე, სანამ უკან დავბრუნდებოდეო. იმასაც «ეპატრონა» და დღეს მეხუთე დღეა უგზო-უკვლოდ ჩაითქა. 14 მაისს კიდევ დაიკარგა ბაზრიდან სამი ცხენი და ერთიც «ბრიჩკა». ღამდეგ მაისში ძალიან ავდრიანი დღეები დაიჭირა. მოსავალს კარგი ბირი უჩანს, თიბვა არ დაუწყვიათ ცუდი ავდრების გამო, თუმცა ბალახი დიდხანია მზად არის. როგორც ამბობენ, შარშანდელსავით კალია ადარ გამოჩენილა.

გიორგი დუდუშაური

—

პერევისის საზ. (შორაპ. მაზრა). 7 მაისი. მთლად ზამთარმა აქედ ისე კაიარა, რომ თითქმის შეგვიწროება არავის უგრძვნია, რის გამოც ხეხილი და ვენახიც ადრე გამოიშალა და უფრო იმედიანადაც შესცქერიდა ამ მიმდინარე წელიწადს, მაგრამ ხალხი მოსტეუფდა მარტმა თავის ჩვეულება არ დაგდო და სწორედ ისეთ დროს დაუარა თოვლი, რომ ხეხილიც და ვენახიც სანახევროდ მოისპო; შემდეგ ისევ გვარიანი ამინდები დაიკავადა და უფრო შეუდგა მიწის გადმობრუგებას და თესლის ჩაურას, მაგრამ, რომ იტეკვიან—«უბედურ კაცს ქვა ადმართში მიეწიაო», სწორედ ასე მოხდა: ჯერ სანახევროთაც არავის ჭქონდა მიწაზე მიბარებული თესლი, რომ აპრილის ოცდა ერთიდგან დაიწყო წვიმა და მას შემდეგ ხან მეტისმეტი სიცივე, ხან ქარი და ხან წვიმა არ შეწყვეტილა. ახლა ადვილი წარმოსადგენია თუ რა იმედი უნდა ჭქონდეს კაცს, როცა ჯერ სანახევროთ არ მიუბარებია მიწისათვის თესლი და რაც მიაბარა ისიც კი უნაყოფოდ ულუბია?!

ძალიან გახშირდნენ აქედ ქურდ-აცტაცები; ისე ძნელად გაიგების დამე, რომ არ გაიგოთ ზოგისათვის ქათმები მოუპარიათ, ზოგისათვის ინდაურები, ზოგისათვის ბატები და სხვა. ამ ნაირად დათარეშობდნენ ეს ხალხისათვის მავნე პირები და მათს ამოჩენას და ადგომას არ ფიქრობს კაცი. მართალია, ეჭვი მიტანილი აქვთ რაღენიმე პირზე, მაგრამ არა ეშველა-რა იმათ ადგომას, დათარეშობენ თავიანთ სურვილისამებრ და დიდ ვნებას აუნებენ ხალხს.

ა. ხაბულიანი.

—

სოფ. რგანი. (შორაპნის მაზრა) ჩვენ შორაპნის მაზრაში არ არის ასეთი მდიდარი სოფელი, რომელიც რგანია; მთელი რგანი თითქმის ბუდე არის შავი-ქვისა და წინეთ რომ აქ გლეხებს ორი დღის სამუშაოვარი ჭქონდათ უანა, დღეს ათასი თუმნობით შეიძინეს და ძელული ჩალით დახურული ქოხების ადგილზე წამოჭიმულია მშვენიერი ორ სართულიანი სახლები, მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ჩვენს მაზრაში არც ერთი სოფელი არ არის ასე დაგეთებული და დაწეული სწავლა-განათლებით, როგორც ჩვენი რგანია. აქ—რგანში ორი წლის წინად ძალ-უმადურად გავხსენით ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა და მასწავლებლათ დაგვინიშნეს ისევ ჩვენი მღვდლის შვილი სემინარიელი ბ. უ.; მაგრამ ის დალოცვილი სკოლას ის არ ეკარება. როგორც თითრი დორის ხორცს. თითო, ორ-ოლ კვირაობით სწავლა შეჩერებულია სკოლაში, მასწავლებელი კი ხან ადთას დადის და ხან ბალთას. სწორედ ასეთი სკოლის ქონებას უქონლობა ბევრად სჯობია, რადგანაც ფული ტუოლა იხარჯება, მოსწავლეები იმის იმედათ არიან, იქნება ორიოდე ანა-ბანა ვისწავლოთო და ტუოლა უბრალოდ ოჯახსაც ცდებიან და სახლსაც. წასულ წელიწადში სახალხო სკოლების ინსპექტორი ორჯელ ესტუმრა ამ სკოლას. ეხლა ამ მაისის (დამდეგს) პირველ რიცხვებშიაც კი მობძანდა, მაგრამ ვერც მასწავლებელი და ვერც შეგირდები ვერ ნახა, რადგან სკოლა დაკეტილი დახვდა და ინსპექტორი გულ-დაწყვეტილი უკანვე დაბრუნდა. გვიკვირს ძალიან: თუ არ უნდა ბ. უ. მასწავლებლობა, ნუ თუ 350 მანეთის ჯამაგირით კაცს ვერ ვიშოვით, რომ ჩვენ შვილებს ასწავლოს? იმედი უნდა გიქონიოთ, რომ ამ გარემოებას, ამ საქმეს უფრადღებოთ არ დასტოვებს ვისიც რიგია და ჩვენ გვადირსებენ ისეთ მასწავლებელს, რომ გვასწავლოს შვილებს, თორემ თქვენი მტერია ჩვენში სწავლის სურვილი გაქარწყლდება...

ექაური.

საღამოს დეპეშები

19 მაისი.

პეტერბურგი. 18 მაისს კრონშტადტის დიდ რეიდზედ მოხდა უმაღლესის თანადასწრებით საზღვარ-გარეთიდან მოსულ სამხედრო გემების აღლუმი: ეს გემებია „ჰერცოგ ედინბურგელი“ და “ვარიაგი“ პირველ რანგის კრეისერები და „ჯიგიტი“ მეორე რანგისა.

ალექსანდრე ნეველის „სიფხიზლის საზოგადოება“ მზად არის შეუდგეს „სიფხიზლის“ განსაკუთრებულ სახლის აგებას. ამ სახლში იქნება მოთავსებული დიდი ზალა ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრებებისათვის და ლექსებისათვის ლოთობის წინააღმდეგ, საჩაიე, კინტორა, აბრეკლიტორია სტამბა და სხვა დაწესებულებანი, რათა „სიფხიზლის“ ქადაგება უფრო მეტად გავრცელდეს.

ხელმწიფე ი მპერატორმა უმაღლესად უბრძანა მისცეს ქალაქ პენსის ღარიბ გადამწვართ 10.000 მანეთი.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, სახელმწიფო კანტრალორის ამხანაგი ივაშჩენკოვი.

ვენა. დეპუტატების პალატამ საღამოს სხდომაზედ მიიღო უკანასკნელი მუხლები მთავრობის წინადადებისა ირხვების გაერთიანებისა და მდინარეების კალაპოტის განკარგვის შესახებ. მთელმა პალატამ სიხარულით გამოაცხადა საქმის ასე გათავების გამო.

კოლონია. ქალაქის ხარჯთაღრიცხვაზე წესებულებათა მოხელენი აჯანყდნენ ქვებს ესროდნენ [illegible] —ნაწილი წესიერების [illegible] [illegible] [illegible]